პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 122 (11733) | ხუთშაბათი, 26 მაისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

## პოლონელ მეგობართა სიმღერები და ცეკვები

24 მაისს კრემლის თეატრში გამართული კონცერტით დამთავრდა პოლონეთის სიმღერისა და ცეკვის „მაზოვშეს“ სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლები საბჭოთა კავშირის დედაქალაქში (ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია მ. ზიმინსკა-სიგეტინსკა). ეს უკვე მეოთხე ჩამოსვლაა ჩვენს ქვეყანაში ცნობილი კოლექტივისა, რომელიც ახლა სამშობლოში ბრუნდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმატებითი გასტროლების შემდეგ.

სტუმრებმა შეასრულეს ოპოჩინური, ლუბელური, ყუშოვური და სხვა სიმღერები და ცეკვები, რომლებითაც ოდითვე განთქმულია პოლონეთის ცენტრალური რაიონები. კონცერტის მრავალფეროვან პროგრამაში წარმოდგენილია პოპულარული სიმღერები „საყვარელი ქვეყანა“, „ტყესთან“, ყოვეცელ ტყისმჭრელთა ცეკვა, შაირები, ბრწყინვალე პოლონეზი „წრიულად“, რომლის მუსიკა დაწერა კოლექტივის დამაარსებელმა კომპოზიტორმა ტ. სიგეტინსკიმ. პოლონელმა მეგობრებმა გულიანად [illegible] რუსული სიმღერა „პოზარასტალი სტეფკა [illegible]“.

კონცერტზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბელეტინი, ნ. ბ. იბნატოვი, შ. რ. კოზლოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი [illegible] რბაზში იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბოლესლავ იაშჩუკი.

მოსკოვიდან ანსამბლი „მაზოვშე“ გაემგზავრება ვილნიუსს, სადაც დაამთავრებს თავის გასტროლებს სსრ კავშირში. (საკდესი).

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

**ჩვენ,** რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, საქართველოს ყველა მშენებლის სახელით მხურვალე, კომუნისტურ სალამს ვუთვლით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშობლიურ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი, ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს შემოქმედებითს საქმიანობას, ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, რომლის მიზანია კომუნიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება მთელ მსოფლიოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიულმა მეხუთე სესიამ მიიღო უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური და საერთაშორისო მნიშვნელობის გადაწყვეტილება. ჩვენში პირველად მოხდა ის, რაზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადების გაუქმება, საბჭოთა ფულის სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებანი, შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა — აი საბჭოთა ადამიანისათვის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინება.

ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოზიციას, რომელიც გამოხატულია ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის განცხადებებსა და გამოსვლებში ჩვენი სამშობლოს მიმართ ამერიკის საზიზღარი აგრესიის შესახებ. ამერიკის სამხედრო წრეების ამ ალმაშფოთებელმა პროვოკაციამ, რომელსაც მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და ჩაშალა უმაღლესი დონის თათბირი, გამოიწვია საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სამართლიანი გულისწყრომა. ჩვენ ვერავინ ვერ დაგვაშინებს, ყველა აგრესორი, რომელიც შეეცდება შეწყვეტოს ჩვენი მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომა, მიიღებს ისეთ გამანადგურებულ პასუხს, როგორიც ჯერ ისტორიას არ ახსოვს.

საქართველოს მშენებელთა მრავალათასიანი არმია, სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული, დაუცხრომლად შრომობს, რათა განახორციელოს კომუნისტური პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი, თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიად საქმეში. ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში აშენდა ბევრი ახალი საწარმო, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები და სხვა შენობები. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებები სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში.

ჩვენ მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ტექნიკური პროგრესის ყოველი ღონისძიებით გაფართოება, დადაჭრით გადასვლა დიდპანელიან და დიდბლოკიან მშენებლობაზე, სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარება, დაპროექტების გაუმჯობესება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, საწარმოო ბაზის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება და მშენებლობისათვის ახალი ეფექტიანი მასალებისა და კონსტრუქციების ათვისება.

პირობას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ არ დავიშურებთ ძალღონესა და ენერგიას იმ დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, რომლებსაც გვისახავენ პარტია და მთავრობა მშენებლობის დარგში, წარმატებით დავამთავრებთ შვიდწლედის მეორე წელს, ვაშენებთ სწრაფად, კარგად, იაფად, ვაშენებთ მხოლოდ ინდუსტრიული მეთოდებით.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს დიდი ლენინის პარტიას, რომელიც გაბედულად მიგვიძღვის კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისაკენ!

**(მიღებულია მშენებელთა, საშენი მასალების მრეწველობის, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიერ).**

## მშენებელთა, საშენი მასალების მრეწველობის, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშაკისადმი

ამხანაგებო!

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობისათვის უდიდეს შემოქმედებითს მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით მშენებლობის მუშაკებს. პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მშენებელთა, საშენი მასალების მრეწველობის მუშაკთა, დამპროექტებელთა და მეცნიერთა მრავალმილიონიანი არმია თავისი დაუცხრომელი თავდადებული შრომით ხელს უწყობს იმას, რომ შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეუპოვრად იბრძვის დიდებული შვიდწლიანი სამშენებლო პროგრამის ვადამდე შესრულებისა და შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე მწყობრში ჩადგა ბევრი ახალი საწარმო, აშენდა ასობით საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობები, მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. შვიდწლედის პირველ წელსვე კაპიტალდაბანდებანი ქიმიურ მრეწველობაში 1958 წელთან შედარებით გაიზარდა 2,5-ჯერ, მანქანათმშენებლობაში — 61 პროცენტით და სამშენებლო ინდუსტრიაში — 20 პროცენტით. მწყობრში ჩადგა 14 ახალი სამრეწველო საწარმო და 13 საამქრო მოქმედ საწარმოებში, ათვისებულია ახალი საწარმოო სიმძლავრენი ქვანახშირის, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, ფერად მეტალურგიაში, ქიმიურ და კვების მრეწველობაში, გაყვანილია ახალი მაღალძაბვიანი ელექტროგადაცემის ხაზები, ყარადალბინლისის გაზსადენის ხაზი. მწყობრში ჩადგა პირველი ატომური რეაქტორი. აშენდა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების ახალი შენობები, საავადმყოფოები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები; ფართო გაქანება მიეცა საბინაო მშენებლობას.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას მშენებელთა წინაშე შვიდწლედის მეორე წელსაც.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა 1960 წელს შეადგენს უდიდეს თანხას — 2.293 მილიონ მანეთს, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის — 1.505,4 მილიონ მანეთს.

მშენებლობის საკითხებზე რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა შეაჯამეს მშენებელთა მუშაობის შედეგები.

ჩვენს თათბირზე გამოაშკარავდა რესპუბლიკაში მშენებლობის საქმის ორგანიზაციის სერიოზული ნაკლოვანებანი. ჩვენ ვიმსჯელეთ, თუ როგორ შეიძლება უკეთ განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდებული პროგრამა კაპიტალური მშენებლობისა რესპუბლიკაში, მივალწიოთ მისი ღირებულების შემცირებას, ვადების შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ახლა მშენებელთა მთავარი ამოცანაა დაიჩქარონ ტექნიკური პროგრესი, კიდევ უფრო განავითარონ სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაცია, გაუმჯობესონ დაპროექტება. დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესონ საწარმოო ბაზა და აითვისონ ახალი ეფექტიანი მასალები და კონსტრუქციები მშენებლობისათვის.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მაქსიმალურად გვექნეს ასაწყობი შენობები და ნაგებობანი. უკვე მიმდინარე წელს ფართო გზა უნდა გავუხსნათ დიდპანელიან და დიდბლოკიან მშენებლობას, აღმოვფხვრათ ჩამორჩენა წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებაში.

საშენი მასალების მრეწველობის მუშაკებმა უფრო სწრაფად უნდა გაზარდონ საწარმოო სიმძლავრეები, მნიშვნელოვნად გადაიღონ არამადნეული მასალების, აგრეთვე ადგილობრივი საკედლე და სახურავი მასალების მოპოვება და გაუმჯობესონ მათი ხარისხი. საჭიროა შევისწავლოთ ის საკითხი, რომ მოვახდინოთ საშენ მასალათა დიდი და ტექნიკურად აღჭურვილი საწარმოების კონცენტრაცია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოში.

უნდა შეიქმნას პირობები სამშენებლო ტექნიკის გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. დიდი სამშენებლო მანქანები და მექანიზმები თავმოყრილ იქნას სპეციალიზებულ ორგანიზაციებში და მოეწყოს ტერიტორიული სარემონტო ბაზები.

მშენებლობის ღირებულების სისტემატური შემცირებისათვის ბრძოლა, რაც ქმნის საბინაო მშენებლობის მოცულობის ზრდის რეზერვებს, მშენებლობის ყველა მუშაკის პირველხარისხოვანი ამოცანა უნდა იქნეს.

გაღაჭრით უნდა მოეღოს ბოლო კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვას. სატიტული სიებში შეტანილ უნდა იქნას მხოლოდ პროექტებით უზრუნველყოფილი ობიექტები. დაუცხრომლად ვაუმჯობესოთ დაპროექტების საქმე, მივაღწიოთ დაპროექტების დროს მშენებლობის ღირებულების შემცირებას, აგრეთვე სამშენებლო პარამეტრების, კონსტრუქციებისა და ნაწარმის უნიფიკაციით. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ადგილობრივი საშენი მასალები.

სამშენებლო ორგანიზაციების განმტკიცების მიზნით საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას მცირე, არარენტაბელური ორგანიზაციები და უფრო რაციონალურად გამოყენებულ იქნას მთელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. ნაკადური მეთოდები უნდა გახდეს მშენებლობებზე წარმოების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა. ყველგან დაინერგოს შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმა — კომპლექსური ბრიგადები, უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა.

ბრძოლა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის უნდა გახდეს ყველა მშენებლის, დამპროექტებლის და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკების ყოველდღიური საქმე. არ შეიწყნაროთ შემრიგებლური დამოკიდებულება სამშენებლო სამუშაოთა და საშენ მასალათა დაბალი ხარისხისადმი! უაღრესად სერიოზული ყურადღება მივაქციოთ კადრებთან მუშაობას და ავამაღლოთ მათი კვალიფიკაცია.

ძვირფასო ამხანაგებო!

მოგიწოდებთ უფრო სწრაფად დაძლიოთ ნაკლოვანებანი მშენებლობაში, ყურადღება მიაქციოთ რესპუბლიკაში მძლავრი სამშენებლო ინდუსტრიის შექმნას და იმ საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებას, რომლებიც წარმოადგენენ შვიდწლიანი გეგმით დასახულ სამშენებლო სამუშაოთა პროგრამის წარმატებით შესრულების საფუძველს.

შვიდწლედის მეორე წელს ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტის ამუშავება. დასახული გეგმის უთუოდ შესრულებით ჩვენ ღირსეულ წვლილს შევიტანთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში.

მშენებლობის საკითხთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი მომართავენ მშენებლობათა, საშენი მასალების მრეწველობის საწარმოთა, საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციათა ყველა მუშას, ინჟინერსა და ტექნიკოსს, მოსამსახურენ მოწოდებით — უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობისა და საშენი მასალების წარმოების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის! ახალი სახელოვანი შრომითი მიღწევებით შეეხვედეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღს!

## „ბედნიერება და მშვიდობა ხალხებს!“

**პოლიტიკური** ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „ბედნიერება და მშვიდობა ხალხებს!“. ამ წიგნში დაბეჭდილია მასალები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ ინდოეთში, ბირმაში, ინდონეზიასა და ავღანეთში 1960 წლის 11 თებერვალ-5 მარტის პერიოდში.

წიგნში მოთავსებულია ნ. ს. ხრუშჩოვისა და ინდოეთის, ბირმის, ინდონეზიისა და ავღანეთის სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, როცა ამ სახელმწიფოებში იყო საბჭოთა მთავრობის მეთაური, რეპორტაჟები აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებთან ნ. ს. ხრუშჩოვის ამაღელვებელი შეხვედრების შესახებ. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის, საბჭოთა კავშირ-ბირმის ერთობლივი კომუნიკეები, საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივი განცხადება, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ერთობლივი კომუნიკე და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ხელმოწერილ იქნა ამ ქვეყნებში.

ცალკე კარში „ჩვენი ქვეყანა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მედროშეა“ გაშუქებულია ნ. ს. ხრუშჩოვის გულითადი შეხვედრა ენუკოვის აეროდრომზე მოსკოვში, როცა დაბრუნდა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობიდან, მოსკოველთა მრავალათასიანი მიტინგი, რაც 5 მარტს გაიმართა სპორტის სასახლეში.

წიგნში მოთავსებულია ფოტოსურათები, რომლებიც აღბეჭდავენ ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნას ინდოეთში, ბირმაში, ინდონეზიასა და ავღანეთში.

გამოცემის ტირაჟი 200 ათასი ცალი. (საკდესი).



## გუშინ ჩაის პლანტაციებში

◆ **სოხუმი.** (საკ. კორ.). აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააძლიერეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. **25 მაისისათვის** მოკრეფილი იყო 3.456 ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 15,2 პროცენტს და ნაკისრი ვალდებულების 14,4 პროცენტს შეადგენს, ხოლო მაისის დავალების 50.6 პროცენტია.

მეჩაიე რაიონებს შორის კრეფაში დაწინაურდა **გალის რაიონი,** სადაც მოკრეფილია **1.845,5 ტონა,** რაც წლიური გეგმის 15,9 პროცენტს შეადგენს. რაიონის მეჩაიეები ფართოდ გამოეხმაურნენ ნაირა გოგატაძის თაოსნობას და გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება.

სასაბელო მაჩვენებლები მოიპოვეს **აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის** მუშებმა. **შუშანიკ სარქისიანმა** ერთ დღეს მოკრიფა 119 კილოგრამი, ხოლო სულ სეზონის დაწყებიდან — 843 კილოგრამი, **მატრონა ლეონტიევამ** — 113 კილოგრამი, **ნინო სტოროჟენკომ** — 100 კილოგრამი, სოფელ ჰუბურხინჯის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ მეჩაიემ **დაფინო ყოლბაიამ** — 85 კილოგრამი, **ნანული გერგედავამ** — 58 კილოგრამი, **თინა ყოლბაიამ** — 75 კილოგრამი.

◆ **წულუკიძე.** (საკ. კორ.). შარშანდელთან შედარებით რაიონის კოლმეურნეობებში წელს ყოველდღიურად გაცილებით მეტ ჩაის ფოთოლს კრეფენ. 25 მაისისათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს **695 ტონა** ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ჩაის კრეფის მაის-ივნისის თვეების გეგმა პირველმა წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ შეასრულა. აქაურმა მეჩაიეებმა ორი თვის გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 2,5 ტონა პირველი ხარისხის ნედლეული. კრეფაში დაწინაურდნენ ქალაქ წულუკიძის ვანო სტურუას და სოფელ ქუტირის ციროვის სახელობის კოლმეურნეობები. სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში **იზოლდა წოწონავამ** ერთ დღეს 85 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მას არ ჩამორჩება კომკავშირელი **დალი წიფწიფაძე,** რომელიც წელს 0,4 ჰექტარზე 6 ტონა ჩაის ფოთოლისათვის იბრძვის. იგი ყოველდღიურად 80-90 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს, შარშანდელზე 5-10 კილოგრამით მეტს. მას დღემდე მოკრეფილი აქვს ერთ ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

### დაპატიმრებანი თურქეთში

□ **სტამბოლი,** 25 მაისი. (საკდესი). როგორც ბაზეთ „ვათანის“ ცნობიდან ჩანს, თურქეთში გრძელდება მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელება. იზმირში ასეთი საქმიანობისათვის დაპატიმრებულია 9 კაცი, რომელთა უმრავლესობა ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრები არიან.

ბაზეთი იუწყება აგრეთვე, რომ კონიას ვილაიეთში დაპატიმრებულია იმ პირთა ჯგუფი, რომელთაც გრასლად ედგებათ პროპაგანდა მმართველი პარტიის წინააღმდეგ.

### გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკის“ რედაქტორის გასამართლება

◎ **კოპენჰაგენი,** 25 მაისი. (საკდესი). აქ სააპელაციო სასამართლოში დაიწყო გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკის“ მთავარი რედაქტორის მარტინ ნილსენის სასამართლო პროცესი, რომელიც აღძრა არმიის სარდალმა გენერალმა ვ. იალფმა. იგი ნილსენს ბრალად დებს თავისი პიროვნების შეურაცხყოფას. „შეურაცხყოფა“ იმით გამოიხატა, რომ გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკმა“ ამხილა ვ. იალფის მოღალატური როლი დანიის ჰიტლერული ოკუპაციის დროს.

მთავარი რედაქტორის მ. ნილსენის ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ იგი აპირებს დაამტკიცოს, რომ მართალია გაზეთში გამოქვეყნებული ბრალდებანი გენერალ იალფის წინააღმდეგ, მათ შორის ჰიტლერელ ოკუპანტთაგან დანიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საბოტაჟის ბრალდებანი.

### ახალი მიწისძვრა ჩილეში

□ **ნიუ-იორკი,** 25 მაისი. (საკდესი). გუშინ 23 საათსა და 20 წუთზე გრინვიჩის დროით (დღეს 2 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით) პირველი მიწისძვრიდან 78 საათის შემდეგ რეგისტრებულია ახალი, მესამე დიდი მიწისძვრა კენჩიოს კუნძულის რაიონში (ჩილეს პროვინცია). ჩილელ მეცნიერთა განცხადებით, ეს ახალი მიწისძვრა განსაკუთრებული ძალისა იყო. კუნძულზე მთის მწვერვალები ჩამოინგრა, როცა მძლავრმა მიწისქვეშა ბიძგებმა 10 წუთი ინტერვალით ისინი ზღვისაკენ დასძრეს. მეწყერისა და შვავის შედეგად მიწით დაიფარა დასახლებული პუნქტები. მოსახლეობის მდგომარეობა ამ კუნძულზე და ჩილოეს კუნძულზე, ხელისუფალთა განცხადებით, საშინელია.

საინფორმაციო საგენტოების კორესპონდენტთა ცნობებში აღნიშნულია, რომ ვულკანური მოქმედების რაიონში, რომელმაც მოიცვა ნახევარ მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტი, პირისაგან მიწისა აღგვილია რამდენიმე პატარა ქალაქი და ნავსადგური. ჩამოინგრა ბევრი მთის მწვერვალი, შეიქმნა ვეებერთელა ორმოები და წარმოიშვა ორი ახალი ვულკანი; ბევრ ადგილას დარღვეულია კომუნიკაციები. ჩილის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ოთხი დღის კატასტროფის შედეგად დაიღუპა ან უკვალოდ დაიკარგა 3.625 კაცი და რომ, შესაძლოა, 2 მილიონამდე კაცი უსახლკაროდ დარჩა. „ჩილი, — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში, — განიცდის უმაგალითო ზომის სეისმურ კრიზისს“. ჩილელ მეცნიერებს აშინებთ, რომ ახალი მიწისქვეშა ბიძგები გაგრძელდება რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ამხანაგები ვ. პ. მეკავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე მშენებელთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა შორის.

ფოტო ო. არობელიძის და გ. ვახტანგაძისა.

# შევქმნათ მშენებლობის მძლავრი მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი

**ᲘᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲙᲙᲠ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.**

**ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲣᲪᲮᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ, ᲒᲔᲯᲘᲗᲐᲓ ᲘᲒᲠᲫᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲗᲐ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲔᲡ 10-12 ᲬᲚᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.**

**ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 24 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.**

**ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲕᲑᲔᲭᲓᲐᲕᲗ ᲐᲛ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲜᲡ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ

## Ა. Მ. ᲚᲐᲑᲐᲮᲣᲐᲡ *ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ*

სამშენებლო ორგანიზაციების 1959 წლის მუშაობის შედეგებისა და 1960 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა. მ. ლაბახუამ.** მან ილაპარაკა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა უკანასკნელ წლებში და რომლებმაც ამამაღლა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე, შექმნა ტექნიკურად შეიარაღებული მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციები, მნიშვნელოვნად გააოდა საშენი მასალების წარმოება, გაუმჯობესა დაპროექტების საქმე.

კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გაიზარდა 1955 წლის 1.810 მილიონი მანეთიდან 2.217 მილიონ მანეთამდე 1959 წელს. შვიდწლედის პირველ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემენა ახალი საწარმოო სიმძლავრეები ქვანახშირის, მარგანეცის, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში და ფერად მეტალურგიაში, ქიმიურ და კვების მრეწველობაში, ახალი მაღალგოლტიანი გადაცემის ხაზები, მწყობრში ჩადგა ყარადაღ-თბილისის გაზსადენი. რესპუბლიკას შეემატა 14 ახალი სამრეწველო საწარმო და 13 საამქრო მოქმედ საწარმოებში. მათ შორის არის ახალი ითხვისის მაღარო, არგონის საამქრო რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, შაორის ჰიდროელექტროსადგურის მეორე რიგი, მთავარ არხგურჯაანის ელექტროგადაცემის 75 კილომეტრი სიგრძის ხაზი, მახარაძისა და ტყიბულის ჩაის ფაბრიკები, ცაგერის, ქინძმარაულის, გურჯაანის, ქუთაისის ღვინის ქარხნები და სხვ.

აშენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორი, რომელიც პირველია ამიერკავკასიაში და განკუთვნილია კვლევისათვის ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

დიდია ზრუნვა სკოლებისა და სამკურნალო დაწესებულებების ქსელის გაფართოებისათვის. გასულ წელს იიგო 26 ზოგადსაგანმანათლებო სკოლის შენობა 11,4 ათასი მოსწავლისათვის, აგებულია საავადმყოფოები 300 საწოლით.

ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებებს ბინებით მშრომელთა უზრუნველყოფისათვის, რესპუბლიკის მშენებლები წლითიწლობით ზრდიან სახნავო მშენებლობის მოცულობას. მარტო თბილისში ყოველწლიურად საექსპლოატაციოდ ბარდება 110-120 ათასი კვადრატული მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ანუ სამი ათასზე მეტი კეთილმოწყობილი ბინა.

რესპუბლიკის ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ სერიოზული წარმატებანი მოიპოვა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, რაც უზრუნველყოფს სამშენებლო წარმოების გადაქცევას შრომის ბუნებრივ ნაკადურ პროცესად. მრეწველობის დიდმნიშვნელოვანი დარგი გახდა ასაწყობი რკინაბეტონის წარმოება. როგორც სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის საფუძველია. 1959 წელს რესპუბლიკის ქარხნებში და პოლიგონებზე დამზადებულია 200 ათას კუბურ მეტრზე მეტი რკინაბეტონის ნაკეთობანი. „მთავართბილისმშენში“ და „ამიერკავკასიის მეტალურგმშენში“ ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენება იქ დონეზეა, რომელსაც მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციებმა.

მნიშვნელოვნად გადიდდა სამშენებლო ორგანიზაციების ფეხურგა მექანიზმებით, გაიზარდა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის მოცულობა. მექანიზაციის მაღალი დონე მიღწეულია რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციების მონტაჟში, ბეტონის მომზადებაში. ტექნიკაში მიღწეულმა პროგრესმა უზრუნველყო მშენებელთა შრომის ნაყოფიერების ზრდა. უკანასკნელ ოთხ წელიწადში ერთი მშენებელი მუშის გამომუშავება 25 პროცენტით გაიზარდა.

მომხსენებელმა ამასთან ერთად დაწვრილებით გაუკეთა ანალიზი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ჩვენი მშენებლები, აღნიშნა მან, ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან რესპუბლიკის წინაშე, ხალხის წინაშე.

სახალხო მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში კაპიტალურ სამუშაოთა გეგმები არადამკმაყოფილებლად სრულდება. მშენებლობა მეტისმეტად ჭიანურდება.

1959 წელს კაპიტალდაბანდებათა სახელმწიფო გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკაში შესრულებულია მხოლოდ 94.7 პროცენტით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 96 პროცენტით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სუბჭოს 35 დარგობრივი სამმართველოდან და ტრესტიდან 19-მა სრულად ვერ გამოიყენა მათთვის გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი.

არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ აგრეთვე საბინაო მშენებლობის მდგომარეობა. მაგალითად, რესპუბლიკაში მთლიანად კაპიტალდაბანდებათა გეგმა შარშან რეალიზებულია 95,6 პროცენტით, ხოლო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა უფრო ნაკლებად — 85,9 პროცენტით. 274,9 ათასი კვადრატული მეტრის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 236,1 ათასი კვადრატული მეტრი. მოსახლეობას დააკლდა დაახლოებით 1.200 ბინა.

შვიდწლედის მეორე წლის პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა გაიზარდა 24 პროცენტით. მაგრამ გეგმა შესრულებულია მხოლოდ 87,1 პროცენტით. კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობაში გაიზარდა შესაბამისად 27,4 პროცენტით, პირველი კვარტალის გეგმა კი რეალიზებულია მხოლოდ 89,5 პროცენტით. საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა გეგმის მხოლოდ 56,9 პროცენტს შეადგენს.

შარშან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სუბჭოს ბევრმა დარგობრივმა სამმართველომ, სამინისტრომ და უწყებამ ჯერჯერობით ვერ შეაფასა კაპიტალური მშენებლობის ამოცანების მთელი მნიშვნელობა. 1960 წლის დამდეგს მათი საქმიანობა ამ მხრივ რამდენადმე გაუმჯობესდა. მაგრამ 1960 წლის დაკალებათა უთუოო შესრულებისათვის ეს სრულებითაც არ არის საკმარისი.

რესპუბლიკის მინისტრთა სუბჭოსადმი დაქვემდებარებულმა. საქართველოს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სამუშაოთა გეგმა შეასრულეს 107.9 პროცენტით. გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონე გადაჭარბებულია 34 პროცენტით. მაგრამ ამასთან ცალკეულ დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე საიჯარო სამუშაობი მთლიანად როდი შესრულებული. ასეა საქმე, მაგალითად, „ჭითურის მარგანმშენის“ ტრესტში, რომელიც აშენებს უმნიშვნელოვანეს ობიექტებს — ახალ მაღაროებსა და გამადიდრებელ ფაბრიკებს.

მეტ წილ სამშენებლო ორგანიზაციებში მუშაობა მიმდინარეობს უაღრესად არათანაბრად, ნახტომებით. როგორც წესი, პირველ კვარტალში ტემპი მნიშვნელოვნად მცირდება, რაც იწვევს მშენებლობის ვადების ხელოვნურ გახანგრძლივებას და დამატებით ხარჯებს. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ 1959 წლის დეკემბერში განახორციელა დაახლოებით ისეთივე მოცულობის სამუშაოები, როგორიც იმავე წლის იანვარსა და თებერვალში ერთად, ხოლო „მთავართბილისმშენმა“ გასული წლის უკანასკნელ თვეში შესასახლებლად გადასცა 47 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე წლის მთელ პირველ ნახევარში.

სამშენებლო სამუშაოთა გეგმის არადამაკმაყოფილებელი შესრულების მთავარი მიზეზია სუსტი ორგანიზატორული მუშაობა ადამიანებთან, დაბალი შრომითი და საწარმოო დისციპლინა. ამას მოსდევს შეუთანხმებლობა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაობაში, ცუდი მანვერირება მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსებით, სამუშაოთა წარმოების ნაკადური მეთოდების უგულებელყოფა, ტექნოლოგიის დარღვევა.

პარტიასა და მთავრობას არაერთგზის გაუსვამთ ხაზი, რომ საჭიროა მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსების თავმოყრა ყველაზე დიდმნიშვნელოვან ასამუშავებელ ობიექტებზე, რომ შეიუწყნარებელია სახსრების დაქაქსვა მრავალ მშენებლობაზე. ამავე დროს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მშენებლობის 1960 წლის გეგმაში შეიტანა რამდენიმე ახლად დაწყებული ობიექტი, მაშინ როცა 25 გადამავალი მშენებლობა კაპიტალურ სამუშაოთა გეგმაში შეტანილი არ არის.

ძირეული დაგეგმვის შექმნილი სისტემა ანგარიშით ან ფიზიკურ ნახატებზე, რომ თვითეული მშენებლობისათვის აწესებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობითს თვიურ გეგმებს ჯამობრივი გამოხატულებით.

მშენებლობათა დიდ უმრავლესობაში არ არის სამუშაოთა კალენდარული გეგმები, მოწყობილობისა და ძირითადი საშენი მასალების მიღების გრაფიკები. ხოლო თუ არა გვაქვს სამუშაოთა სწორე, კარგად მოფიქრებული ორგანიზაცია, არ შეიძლება ლაპარაკი მშენებლობის ნამდვილ ინდუსტრიალიზაციაზე.

ბევრი მშენებელი ჯეროვნად ვერ აფასებს მოსამზადებელ ღონისძიებათა მნიშვნელობას. ჩვეულებრივ მშენებლობებზე იმის ნაცვლად, რომ შეასრულონ პირველი რიგის სამუშაოები მიწისქვეშა კომუნიკაციების — წყალსადენის, კანალიზაციის, მუდმივი და დროებითი გზების გასაყვანად, განახორციელონ ტერიტორიის წინასწარი საინჟინრო ათვისება, ერთბამად იწყებენ ძირითად ნაგებობათა მშენებლობას. ამის შედეგი ის, რომ არ არის სამშენებლო მოედნების სწორი დაგეგმარება, მათი ტერიტორია უსწორმასწოროა, ავდარში ხშირად შეუძლებელია სატვირთო ავტომანქანების მისვლაც კი.

მშენებლობებზე წესრიგის დამყარება, სამშენებლო სამუშაოთა კულტურის ამაღლება, ამბობს მომხსენებელი, იმას ნიშნავს, რომ 20 პროცენტით მაინც შევამცეროთ მათი შრომატევადობა და 3-4 პროცენტით შევამციროთ მშენებლობის ღირებულება.

ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალდაბანდებათა გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მშენებლობის სუსტი საწარმოო ბაზა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „მხოლოდ იმ პირობით, თუ შეექმნით მშენებლობის მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, შეიძლება წარმატებით გავართვათ თავი იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი პარტიის XXI ყრილობამ დასახა“. საქართველოში მშენებლობის საწარმოო ბაზის განვითარების მიღწეული დონე ჩამორჩება გაზრდილ მოთხოვნილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია ასაწყობი რკინაბეტონის ნაგებობათა გამოშვების წლიური გეგმა, მთელმა რიგმა სამშენებლო ორგანიზაციებმა ვერ გამოიყენეს მათთან არსებული სიმძლავრენი. მაგალითად, „მთავართბილისმშენმა“ ვერ მოაგვარა დიდი საკედლე ბლოკების, წნასწარ დაძაბული ასაწყობი რკინაბეტონის წარმოება. „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ტრესტმა ჩაშალა სიმბეტონისა და საწნეხი რკინაბეტონის მილების გამოშვების გეგმა.

იმისათვის, რომ მშენებლობანი უკეთ უზრუნველყოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით და ნაკეთობებით, უნდა გადაიჭრას ბაზების რაციონალურად განლაგებისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ასაგებად ადგილების შერჩევის პრობლემა. მომწიფდა და გულდასმით განხილვას მოითხოვს რესპუბლიკაში არსებული მრავალი წვრილი ბაზისა და პოლიგონის გაერთიანების, მათი სპეციალიზაციისა და მართვის ერთი ორგანოსათვის თანდათანობით გადაცემის საკითხი.

ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების გაზოდილმა აღჭურვამ მექანიზმებით შესაძლებელი გახადა გარკვეულ წარმატებათა მოპოვება მშენებლობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციაში. მაგრამ ჩვენში ცალკეული მუშების გამომუშავება ნაკლებია. ვიდრე ჩვენი ქვეყნის მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციებში. ჯერ კიდევ საკმარისად არ იყენებენ სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანების არსებულ პარკს, დიდი ოდენობით იყენებენ ხელის შრომას, განსაკუთრებით შედასამშენებლო ტრანსპორტზე, სამათქაშო და სამღებრო სამუშაოებზე.

როგორც წესი, სადაც ცუდად იყენებენ მექანიზმებს და მოიკოჭლებს შრომის ორგანიზაცია, დაბალია მუშათა გამომუშავებაც.

სამშენებლო ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა ხელფასის ზრდასთან შედარებით. ეს მშენებლობის ღირებულების შემდგომი შემცირებისა და დაგროვების ზრდის აუცილებელი პირობაა. ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა თვითღირებულების შემცირების დავალება, გაადვილა სამუშაოები.

მშენებლობის თვითღირებულების შემცირების არსებითი ფაქტორებია წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენება და მასალების მომჭირნეობით ხარჯვა.

მთელ რიგ კონსტრუქციებში ლითონის ნაცვლად წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ რკინაბეტონი და სხვა ადგილობრივი მასალები.

საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მშენებლები ხე-ტყის მომჭირნეობით ხარჯვას.

ბევრი მშენებლობისათვის დამახასიათებელია ცემენტის მნიშვნელოვანი დანაკარგი მისი გადაზიდვის დროს მოუწყობელი მანქანებით და შენახვის დროს მოუწყობელ საწყობებში. ხსნარების ვაჭრობაზე ცემენტის დიდ გადახარჯვას იწვევს გაუმდიდრებელი სილის გამოყენება.

მშენებლობის ხარისხის დიდმნიშვნელოვანი საკითხი არაერთხელ აღძრულა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვერ მივაღწიეთ ამ საქმეში რამდენადმე შესამჩნევ ვაუმჯობესებას. სამოქალაქო მშენებლობაში მდგომარეობა კიდევაც გაუარესდა. წუნმკეთებელთა დაუსჯელობა, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა სამუშაოთა დაბალი ხარისხის წყაროებია. ბევრი საცხოვრებელი სახლი საექსპლოატაციოდ ბარდება ნაკლოვანებებით, რაც მცხოვრებთა სამართლიან საყვედურს იწვევს.

მომხსენებელი შეეხო საშენი მასალების საწარმოთა მუშაობას. 1960 წელს რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობამ უნდა აამუშაოს ახალი საწარმოო სიმძლავრენი — აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანა, რუსთავის წიდის ბამბისა და პერლიტის (მსუბუქი შემსეფის) ქარხნები. ფართოვდება კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნების სიმძლავრენი და სხვ. ამასთან ერთად შენდება რუსთავის თაბაშირისა და თაბაშირის დიდპანელიან ნაკეთობათა ქარხანა, ხუდონის თაბაშირის კარიერი, თეძამის კერამიტის ქარხანა და ეფექტიან საშენ მასალათა საამქრო საბურთალოს აგურის ქარხანასთან.

— ეს პროგრამა, — ამბობს ამხ. ლაბახუა, — მნიშვნელოვანი გადაჭრებით უნდა შესრულდეს, რადგან საშენ მასალათა დიდი საჭიროებაა. ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი მშენებლობათა ინერტული მასალით უზრუნველყოფის პრობლემა, დამაკმაყოფილებელი არ არის აგურისა და კერამიტის ხარისხი. საშენი მასალების ხარისხის გაუმჯობესება სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების აუცილებელი პირობაა.

მთელი ჩვენი გეგმების ბედს, ამბობს მომხსენებელი, წყვეტენ კადრები, მათი ორგანიზებულობა და ძირითადი საშენი მასალების მიღების გრაფიკები. ხოლო თუ არა გვაქვს სამუშაოთა სწორე, კარგად მოფიქრებული ორგანიზაცია, არ შეიძლება ლაპარაკი მშენებლობის ნამდვილ ინდუსტრიალიზაციაზე.

ბევრი მშენებელი ჯეროვნად ვერ აფასებს მოსამზადებელ ღონისძიებათა მნიშვნელობას. ჩვეულებრივ მშენებლობებზე იმის ნაცვლად, რომ შეასრულონ პირველი რიგის სამუშაოები მიწისქვეშა კომუნიკაციების — წყალსადენის, კანალიზაციის, მუდმივი და დროებითი გზების გასაყვანად, განახორციელონ ტერიტორიის წინასწარი საინჟინრო ათვისება, ერთბამად იწყებენ ძირითად ნაგებობათა მშენებლობას. ამის შედეგი ის, რომ არ არის სამშენებლო მოედნების სწორი დაგეგმარება, მათი ტერიტორია უსწორმასწოროა, ავდარში ხშირად შეუძლებელია სატვირთო ავტომანქანების მისვლაც კი.

მშენებლობებზე წესრიგის დამყარება, სამშენებლო სამუშაოთა კულტურის ამაღლება, ამბობს მომხსენებელი, იმას ნიშნავს, რომ 20 პროცენტით მაინც შევამცეროთ მათი შრომატევადობა და დაც ბრიგადირია ამხ. ჩერნიში, მებეტონეთა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობენ ამხანაგები ქაპანაძე, მურადიანი და გორელოვი, და სანტექნიკოსთა ბრიგადამ ამხ. პანჩენკოს მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის ამხ. ჯახიძისა და ხელაძის კომპლექსურმა ბრიგადებმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შრომასა და მშენებლობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის „მთავართბილისმშენის“ მებეტონეს ნადიედა ფილიმონის ასულ ომერიძეს მიეხიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო „ჭითურმარგანმშენის“ მებეტონე ნადეჟდა ივანეს ასული ჩუბინიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

მაგრამ, მაშინ როცა მოწინავენი მნიშვნელოვან გავლენს ახდენენ მშენებლობის მსვლელობაზე, მათი გამოცდილება ჯერ კიდევ საკმარისად არ ინერგება მშენებლობებზე. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშენებელთა შორის დაყენებულია უფრო სუსტად, ვიდრე სამრეწველო საწარმოებში. სამშენებლო ინდუსტრიის სამშენებლო მოედნებზე, საწარმოებში, ობიექტებზე, ფანტელებსა ბრიგადამ ამხ. პანჩენკოს ბრიგადამ ამხ. ჩერნიშ, ბეტონეთა ბრიგადამ, ბრიგადირ ალექსანდრ ბელოუსოვ

# მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

## ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

**მშენებლობის საკითხთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი მიმართავენ მშენებლობათა, საშენი მასალების მრეწველობის საწარმოთა, სარეაქტორო-ტექნიკურ და სამეცნიერო ორგანიზაციათა ინჟინერსა და ტექნიკოსს, მოსამსახურეს მოწოდებით — უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობისა და საშენი მასალების წარმოების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის! ახალი სახელოვანი შრომითი მიღწევებით შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღს!**

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით სულით და გულით მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით მშენებელთა მთელ ჩვენს სახელოვან კოლექტივს, გისურვოთ ახალი შრომითი გამარჯვებანი, დიდი ბედნიერება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია იყო კომუნიზმის იდეების ზეიმის მკაფიო დადასტურება, რომლებისთვის ა ც უშიშრად მიდიოდა ბრძოლაში რევოლუციონერთა, ბოლშევიკ-ლენინელთა მრავალი თაობა.

სესიამ განიხილა საკითხები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ყველა მშრომელისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის — მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება, ღონისძიებანი 1960 წელს ყველა მუშისა და მოსამსახურის შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანის დასამთავრებლად და სხვა ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

სესიაზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის უაღრესად ღრმა და შინაარსიან მოხსენებაში შეჯამებულია ჩვენი სამშობლოს მშრომელთა თავდადებული მუშაობის შედეგი, აღნიშნულია მათი თვალსაჩინო მიღწევები დიადი შვიდწლედის დავალებათა შესრულებაში, მოცემულია გაშლილი პროგრამა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლისა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე ყველაზე მაღალი იყოს მსოფლიოში. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენება ახალი თვალსაჩინო წვლილია კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკაში.

თქვენ ყველანი ყურადღებით ადევნებდით თვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მუშაობას, ეცნობოდით შესაბამის მასალებს, რომლებიც პრესაში ქვეყნდებოდა. ამიტომ დაწვრილებით არ შევჩერდები მოხსენებისა და სესიის სხვა დოკუმენტების შინაარსზე. უნდა აღინიშნოს სესიის მიერ მიღებული კანონების პრინციპული მნიშვნელობა, სესიის უდიდესი ისტორიული საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობა.

აუტანლად მძიმე ტვირთისაგან — გადასახადებისაგან განთავისუფლება კაპიტალისტური სამყაროს მშრომელთა საუკუნეობრივი ოცნებაა, უტოპიური და განუხორციელებელი ოცნებაა ბურჟუაზიულ სამყაროში. უფრო მეტიც, გადასახადები კაპიტალის ქვეყნებში ავთვისებიან სიმსივნესავით იზრდება, სულ უფრო მეტად აფათურებს ხელს მილიონობით მუშისა და მოსამსახურის ჯიბეში.

ოკეანესგაღმელ ვაი-იდეოლოგებსა და სოციოლოგებს უყვართ ბევრი ლაპარაკი ცხოვრების ამერიკული წესისა და მარშალწესრიგის უპირატესობებზე, მაგრამ ზოგჯერ მათ თვითონ წამოსცდებათ ხოლმე მწარე ჭეშმარიტება „კაპიტალისტური სამოთხის“ შესახებ.

ამერიკის სოლიდური კომპანია „პიკოკ პაბლიკეიშნზი“, რომელსაც ერავითარ შემთხვევაში ვერ დავბრალებთ ანტიამერიკულ საქმიანობას და მით უმეტეს კომუნიზმის მომხრეობას, გვაძლევს შემდეგ მონაცემებს. თურმე საშუალო ამერიკელი მუშის ხელფასის დაახლოებით ნახევარი უნდება გადასახადებსა და ბინის ქირას, 10 პროცენტი — სატრანსპორტო ხარჯებს. ამრიგად, ხელფასის 60 პროცენტს ნთქავს გადასახადები, ბინის ქირა და ტრანსპორტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადები, რომლებიც შეტანილია ახალი ავტომანქანის ყიდვაში, შეადგენს მისი საცალო გასაყიდი ფასის დაახლოებით 30 პროცენტს, ხოლო ჩვეულებრივი მამაკაცის კოსტიუმი იბეგრება, არც მეტი, არც ნაკლები, 116 სხვადასხვა გადასახადით. აი როგორ არის გადასახადების საქმე. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

ჩვენი საბჭოთა სოციალისტური წყობილება საშუალებას იძლევა თანმიმდევრულად განვახორციელოთ მოსახლეობის გადასახადების შემცირების კურსი. ამჟამად ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებულ უდიდეს წარმატებათა მეოხებით შეიქმნა პირობები, როცა შეიძლება დავიწყოთ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადების გაუქმება.

ეს ჭეშმარიტად ისტორიული მიღწევაა, ამხანაგებო! იგი მოწმობს ჩვენი წყობილების დიდ სასიცოცხლო ძალას.

ჩვენს ქვეყანაში მოხდა ის, რაზეც მხოლოდ ოცნებობ ე ნ კაპიტალისტური ქვეყნების მუშები. მთელი მსოფლიო ახლა თვალნათლივ ხედავს, თუ რა შეუძლია ჩვენს სოციალისტურ სისტემას, ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას! დაე კაპიტალიზმის დაქირავებულმა ადვოკატებმა და ზოგიერთმა ვაი-პოლიტიკოსებმა კვლავაც ილაყბონ „კომუნიზმის მონების“ შესახებ. ეს ძველი, გაცვეთილი სიმღერა მსმენელებს ვეღარ იშოვნის. ფაქტები ჯიუტი რამ არის, ხოლო ფაქტები მჭევრმეტყველურად მოწმობენ, რომ ჩვენი სამშობლო ყოველდღე სულ უფრო მძლავრი, მშვენიერი ხდება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა განუწყვეტლივ უმჯობესდება, მისი ცხოვრება ყოველდღე უკეთესი ხდება. ჩვენ კიდევ უკეთ ვიცხოვრებთ, ამაში ეჭვი არ გვეპარება.

სესიაზე დაყენებული იყო აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხებოდა საბჭოთა საფინანსო პოლიტიკას. მიღებულია გადაწყვეტილება გამსხვილდეს საბჭოთა ფულის ერთეული ფასების არსებული მასშტაბის შეცვლის გზით. ამ ღონისძიების განხორციელება არავითარ ზარალს არ მიაყენებს არც მოსახლეობას, არც სახელმწიფოს, ბევრად შეუწყობს ხელს საბჭოთა ფულის სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარის ზრდას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სესიაზე დაყენებულ საკითხს მრეწველობის იმ დარგების შემდგომი განვითარების შესახებ, რომლებიც მოხმაურების საგნებს უშვებენ. შვიდწლედში საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობის განვითარებისათვის, აგრეთვე მათი ნედლეულის ბაზის გაფართოებისათვის განზრახულია იმ კაპიტალურ დაბანდებათა დამატებით, რაც შვიდწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული, გამოიყოს რამდენიმე მილიარდი მანეთი.

ყველა ეს ღონისძიება ცხადყოფს, რომ კომუნისტური პარტიისათვის, საბჭოთა მთავრობისათვის არ არსებობს იმაზე მაღალი კანონი, ვიდრე საბჭოთა ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის კეთილდღეობა, ბედნიერი ცხოვრებაა. მაშინ როცა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშვიდობიან შრომას ეწევა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, სულ უფრო იზრდება და მტკიცდება სოციალისტური ბანაკის ძლიერება, ამ დროს შავბნელი და ბოროტი ძალები რომლებსაც ვძულვართ და რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა როდი არიან მსოფლიოში, ცდილობენ ხელყონ მშვიდობა და ხალხთა უშიშროება.

მთელი პროგრესული კაცობრიობა აღაშფოთა ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულმა მოქმედებამ, რომლებმაც ჩაშალეს უმაღლესი დონის თათბირი და კვლავ დაძაბეს საერთაშორისო ვითარება.

მძლავრად აზვირთდა დიდი საბჭოთა ხალხის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის გულისწყრომა. ჩვენ ვეუბნებით იმპერიალისტებს, ყველა ჯურის პროვოკატორებსა და ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლებს: იცოდეთ, ჩვენ ვიბრძვით მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ჩვენ მხარს ვუჭერთ სხვადასხვა სოციალური სისტემების თანაარსებობას, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, იგი ისეთ გამანადგურებელ პასუხს მიიღებს, როგორიც ჯერ ისტორიას არ უნახავს. ამისათვის ჩვენ გვაქვს ძალები და საშუალებანი. ყოველი აგრესორი, რომელიც შეეცდება ხელი აღმართოს ჩვენს წინააღმდეგ, აღიგვება პირისაგან მიწისა, მოსპობილ და გაცამტვერებულ იქნება.

იმპერიალისტები ყოველნაირად აღვივებენ ომის ისტერიას, აცხადებენ განგაშს. მაგრამ, როგორც ნიკიტა სერგის-ძემ თქვა პარიზში პრეს-კონფერენციაზე, ჩვენ მაგარი ნერვები გვაქვს. ჩვენ დარწმუნებული ვართ ხვალინდელ დღეში.

ჩვენი დევიზია მეგობრობით და ძმობით ვაშენოთ კომუნისტური საზოგადოება, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და სამართლიანი საზოგადოება. ამას მოწმობს აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის გიგანტური გაქანება, რომელიც უმაგალითოა თავისი მასშტაბებითა და ტემპებით და რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში.

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება რესპუბლიკის მშენებელთა თათბირის მოწვევის შესახებ გამოწვეული იყო იმის სურვილით, რომ გაგვეზიარებინა აზრი, გამოცდილება, განვეხილა კაპიტალური მშენებლობის 1959 წლის გეგმების არადამაკმაყოფილებელი შესრულების მიზეზები, გავრკვეულიყავით სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებში, დაგვესახა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ჩვენს რესპუბლიკაში მშენებლობის საქმის გადაჭრით გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მომხსენებელმა და თათბირზე გამოსულმა ამხანაგებმა ყოველმხრივ გააკრიტიკეს წამყვანი სამშენებლო ორგანიზაციების, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების მუშაობა. სამართლიანი შენიშვნები იყო გაკეთებული მგეგმავი და მომმარაგებელი ორგანიზაციების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ, ასრულებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ჩვენმა სამშენებლო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისათვის. მაგრამ ინდუსტრიული მშენებლობის რელსებზე გადასვლის პროცესს, სამშენებლო წარმოების გადაქცევას მანქანურ წარმოებად ჩვენი მშენებლები ჯერჯერობით ნელი ტემპით ახორციელებენ, რაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნას.

თბილისში ყოფნის დროს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა დაათვალიერა ჩვენი ახალი საცხოვრებელი მასივები და გვისაყვედურა, რომ მშენებლობა ჩვენში წარმოებს ძველი, არაპროგრესული მეთოდებით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ უარი არ გვითქვამს ცალობრივი აგურის გამოყენებაზე, ბათქაშზე მისი ხარაჩოებით და ბევრ სხვა დრომოჭმულ ხერხზე.

ცნობილია, რომ ყოველივე ეს აძვირებს მშენებლობას, ანელებს შრომის ნაყოფიერების ზრდას და არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ფართო ფრონტით დავნერგოთ ტექნიკა წარმოებაში.

იქიდან, რაც ნიკიტა სერგის-ძემ თქვა ჩვენი მშენებლების შესახებ, უნდა გავაკეთოთ უაღრესად სერიოზული დასკვნები და გადავსინჯოთ ჩვენი მუშაობა.

უწინარეს ყოვლისა უნდა ავიღოთ ვიბროაგურის პანელების, ბლოკებისა და დიდპანელიანი კასეტების გამოყენების კურსი. ამისათვის საჭიროა უკვე წელს საექსპლოატაციოდ გადავცეთ საბლსამშენებლო კომბინატები, გავაძლიეროთ დიდი ბლოკების გამოშვება, მასობრივად მოვაგვაროთ დიდპანელიანი კასეტების გამოშვება.

ამ მხრივ მშენებელთა წინაშე დიდ ვალში არიან ჩვენი საპროექტო ორგანიზაციები. იმისათვის, რომ მშენებლები გავათავისუფლოთ ცალობრივი აგურის გამოყენებისაგან, მათ ჯერ კიდევ საკმაოდ არა აქვთ შემუშავებული ვიბროპანელების ქარხნების აგების ტექნიკური დოკუმენტაცია. ცუდად არის აგრეთვე ტიპური დაპროექტების საქმე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე აღნიშნა, რომ „წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია გულისხმობს შრომის უმაღლეს ორგანიზაციას“. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის პირობებში სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის საკითხებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. შენობათა და ნაგებობათა მონტაჟის სწორად შემუშავებული ტექნოლოგიის უქონლად, აგრეთვე ამ ტექნოლოგიის დაუცველად, ქარხნებში დამზადებული კონსტრუქციებისა და დეტალებისაგან ასაწყობი მშენებლობის უპირატესობა არარაობად იქცევა.

ავიღოთ მაგალითისათვის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის სამშენებლო ტრესტის 36-ბინიანი დიდბლოკიანი საცხოვრებელი სახლი. ორი წელია აგებენ ამ სახლის კონსტრუქციებს, მაშინ როცა ამგვარ შენობათა მშენებლობის გრაფიკი ითვალისწინებს დაახლოებით ექვსჯერ ნაკლებ ვადას.

სკკპ XXI ყრილობამ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციას და თავის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამშენებლო მოედანზე უნდა იყოს შენობათა აწყობისა და მონტაჟის ნაკადური, ესე იგი ყველაზე დიდად ორგანიზებული პროცესი. ჩვენმა სამშენებლო ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ, რომ ნაკადი მშენებლობაში იგივეა, რაც კონვეიერი წარმოებაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კონვეიერზე მუშები ერთ ადგილას რჩებიან და მოძრაობს ასაწყობი მანქანა, ხოლო მშენებლობაზე ნაკადური მეთოდის დროს წარმოების საგანი — შენობა ერთ ადგილას დგას, მუშათა ბრიგადები კი ზუსტი თანმიმდევრობით მოძრაობენ ერთი ობიექტიდან მეორისაკენ.

ნაკადური მეთოდი მოითხოვს სამშენებლო წარმოების მაღალ კულტურას, სისუფთავეს მოედანზე, გზების კარგ მდგომარეობას, მასალების მიწოდებას ზუსტად გრაფიკით, მექანიზმების ზუსტ მუშაობას, საერთო სამშენებლო და სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციების შეთანხმებულ მოქმედებას. სამწუხაროდ, მშენებლობის ნაკადური მეთოდი ჯერ კიდევ ფართოდ არ გავრცელებულა ჩვენს მშენებლობებზე; უფრო მეტიც — ხშირად უგულებელყოფენ სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის ელემენტარულ წესებს ისეთი მოწინავე ორგანიზაციებიც კი, როგორიც არიან „ამიერკავკასიის მეტალურგმშენი“ და „მთავართბილისმშენი“.

ლენინგრადის სახლთსამშენებლო კომბინატების მაგალითი სამებრ „მთავართბილისმშენმა“ დიდბლოკიან შენობათა ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი ცდის სახით დაავალა თავის საწარმოო კომბინატს. ეს კარგი თაოსნობაა. მაგრამ ცდას შეიძლება შედეგი არ მოჰყვეს, რადგან მოგვარებული არ არის ცალკეული ოპერაციების მიხედვით მუშახელის გამოყენების აღრიცხვა, მიღწეული არ არის მუშაობის შეთანხმებულობა დიდბლოკიან მშენებლობაში. გარდა ამისა, დიდბლოკიანი სახლების მშენებლობას ჯერ კიდევ ერთეული ხასიათი აქვს, მშენებლობა სამუშაოთა ორგანიზაციის ერთიანი გეგმით არ არის დაკავშირებული გასაშენებელი კვარტალის სხვა ობიექტებთან.

სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია ის პირველი მიზეზია, რომელიც იწვევს მუშათა შრომის მცირე ნაყოფიერებას.

მაგალითად, „ჭიათურმარგანმშენის“ ტრესტს მექანიკური აღჭურვილობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს შორის, მაგრამ შრომის ნაყოფიერების მხრივ ჯერ კიდევ ჩამორჩება.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა უაღრესად ენერგიული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ წესრიგის დასამყარებლად ყველა სამშენებლო მოედანზე. ყველა მშენებლობას უნდა ჰქონდეს სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის კარგად მოფიქრებული პროექტი, რომლის დარღვევა უნდა განვსაჯოთ ისეთივე სიმკაცრით, როგორც სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიური პროცესის დარღვევა. სამუშაო უნდა ხორციელდებოდეს სადღეღამისო, თუ არა საათობრივი გრაფიკით, და შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ხანგრძლივობას უნდა ვიცავდეთ დაწესებული ნორმების სრული შესაბამისობით.

თითქმის ყველა ჩვენი სამშენებლო ორგანიზაცია განიცდის მუშახელის ნაკლებობას, მაგრამ არ ხმარობს ღონისძიებებს, რათა ნამდვილად შეუნარჩუნოს მშენებლობას საჭირო კადრები. მოხსენებაში მოყვანილია საკმაოდ დამაჯერებელი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ არასახარბიელო სურათს — მუშათა მეტისმეტ დენადობას თითქმის ყველა საშენებლო ორგანიზაციაში. ზოგიერთი სამუშაოს მწარმოებელი ცდილობს მუშები იმით შეინარჩუნოს, რომ სხვადასხვა უკანონო ხერხებით უმატებს ხელფასს: არასწორად უფარდებს ნორმებს, ზოგჯერ ყალბინაწერებს აკეთებს. მაგრამ განა ეს მდგომარეობიდან გამოსავალია? განა ეს შეეფერება მშენებელთა ჩვენს ხელმძღვანელ კადრებს? ეს ხომ სახელმწიფოს მოტყუებაა, პარტიის მოტყუებაა.

მუშათა ხელფასის გადიდების ერთადერთი სწორი გზაა შრომის ნაყოფიერების გადიდება, ამისათვის კი საჭიროა გავაუმჯობესოთ სამუშაოთა ორგანიზაცია სამშენებლო მოედანზე, სრულად გამოვიყენოთ სამშენებლო მექანიზმები და მანქანები, გავადიდოთ შენობათა აწყობის პროცენტი. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. საჭიროა ჯეროვნად ვიზრუნოთ მუშისათვის, კარგად გიცოდეთ მისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, ფართო გასაქანი მივცეთ ინიციატივას, დავეხმაროთ სწავლაში, საჭირო ტექნიკური და კულტურული ცოდნის დაუფლებაში, დავეხმაროთ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში. ამავე დროს მუშებს უნდა მოვთხოვოთ პუნქტუალობა, სუფთა მუშაობა, მომჭირნეობა, მუშაობის ხარისხი.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაწეულია სერიოზული მუშაობა სამშენებლო ორგანიზაციების სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, მათი გამსხვილებისა და სპეციალიზაციისათვის. მაგრამ სახმშენმა და სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დიდ სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად უნდა მიაღწიონ დიდ სამშენებლო გაერთიანებათა შიგნით სამშენებლო ორგანიზაციების სტრუქტურის შემდგომ სრულყოფას. აქ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს უწესრიგობა, სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის ტერიტორიული პრინციპის დარღვევა, ხშირად კი სპეციალიზაციის დარღვევაც. რა თქმა უნდა, სრულიად არანორმალურია ის გარემოება, რომ როცა არის ისეთი მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია, როგორც „მთავართბილისმშენი“, სამშენებლო სამუშაოებს, კერძოდ საბინაო მშენებლობას თბილისში ახორციელებენ ამიერკავკასიის „ტრანსპორტმშენი“, საქართველოს „ჰიდროენერგომშენი“, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენი“ და სხვები.

სამშენებლო ორგანიზაციათა სტრუქტურის, სპეციალიზაციისა და დისლოკაციის გაუმჯობესების შესახებ წინადადებანი უნდა მოვამზადოთ წლის პირველ ნახევარში, რათა ორგანიზაციული ღონისძიებანი განვახორციელოთ წლის მეორე ნახევარში, დაეუკავშიროთ ეს მშენებლობის მუშაკთა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის ღონისძიებებს.

ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. ავიღოთ თუნდაც სკოლა-ინტერნატი საბურთალოში, რომელსაც „მთავართბილისმშენის“ № 9 სამმართველო აშენებს. პარკეტი იქ ახლავე იყრება, გარდერობი-კარადები ისეა გაკეთებული, რომ შიგ ბავშვის ხელა ტანსაცმელიც არ ეტევა, კლასებში ღიად არის გაყვანილი საკანალიზაციო დგარები, სახურავში წვიმა ჩამოდის, ყოველად უვარგისია სადურგლო ნაკეთობანი, საწოლ ოთახებში კედლის სიმაღლე რატომღაც 10 სანტიმეტრით შეუმცირებიათ. ფიქრობდნენ თუ არა ამ სკოლის მშენებლები, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ყოველივე ეს ბავშვებზე, მოზარდებსა და ჭაბუკებზე, რომლებიც სკოლაში მისვლისას ზემოაღნიშნულ და ბევრ სხვა ნაკლს აღმოაჩენენ. ფიქრობს თუ არა ზოგიერთი დაუდევარი მშენებელი იმაზე, რას იტყვის მისი მუშაობის შესახებ ახალი სახლის მობინადრე, როცა კარის გაღებას მოინდომებს და ეს კარი ჩარჩოიანად თავზე დაეცემა.

ამაზე ლაპარაკი მაინცდამაინც სასიამოვნო როდია, მაგრამ მშენებლები თავიანთი მუშაობის კრიტიკას მეტ წილად ისმენენ თათბირებზე, ხოლო სასარგებლო იქნებოდა, ახალ საცხოვრებელ სახლში ჩასახლების შემდეგ ერთი თვე რომ გავა, მშენებლობის ხელმძღვანელები მივიყვანოთ ამ სახლის მობინადრეთა საერთო კრებაზე და მოვასმენინოთ მათი მუშაობის კრიტიკა. ვფიქრობ, ზოგიერთი სამუშაოს მწარმოებელი და საზოგადოდ ბრიგადირი ვერ გაბედავდა მისულიყო ასეთ კრებაზე.

ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ ამ უკანასკნელ ხანს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველომ, სამინისტროებმა და შემკვეთმა უწყებებმა თითქმის მთლიანად მოიხსნეს პასუხისმგებლობა მშენებლობის ხარისხისათვის. ხარისხი შენობის მიღების დროს კი არ უნდა გაგვახსენდეს, არამედ მშენებლობის პროცესში, ცალკეულ სამუშაოთა მიღების დროს. ხარისხს მანეთით უნდა გავუწოთ კონტროლი, ხოლო ასეთი კონტროლის უფლება აქვს შემკვეთის ტექნიკურ ზედამხედველობას, რომელიც შენობის საძირკვლით დაწყებული და შეღებვით დამთავრებული იღებს ყველა სამუშაოს და ამავე დროს კონტროლს უნდა უწევდეს მათს ხარისხს. სამინისტრომ და უწყებებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ტექნიკური ზედამხედველობის მუშაობა, აამაღლონ მისი პასუხისმგებლობა, აღკვეთონ ცუდი ხარისხის სამუშაოს მიღება.

ამხანაგებო!

უკანასკნელ წლებში საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა წარმოება ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რკინაბეტონის ნაკეთობათა გამოშვებაში ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერ ჩამოვრჩებით მოსკოვს, ლენინგრადს, კიევსა და სხვა ქალაქებს და საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი გვიჭირავს.

ჩვენ არა გვაქვს არც ერთი დამთავრებული სამშენებლო ბაზა. ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის ინდუსტრიული ბაზა რუსთავში, რომელიც ჩვენში პირველხარისხოვან ბაზად ითვლება, ფაქტიურად უკვე მოძველდა და ვერ უზრუნველყოფს ჩვენს მზარდ მოთხოვნილებას საშენ მასალებსა და კონსტრუქციებზე.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ტრიბუნიდან მიმართა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს და მოუწოდა გააძლიერონ ყურადღება საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და სამშენებლო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მძლავრი სამშენებლო ბაზის შექმნას რესპუბლიკაში, რადგან უამისოდ შეუძლებელია ჩვენი წინსვლა.

მშენებლობის საჭიროებისათვის და მისი ღირებულების შემცირებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოო ბაზის სწორ განლაგებას. საიდუმლოება როდია, რომ ცალკეულ საწარმოთა დაპროექტებისას დღემდე მხედველობაში იყო მიღებული მხოლოდ ცალკეულ უწყებათა მოთხოვნილებანი და ინტერესები, არ იყო სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა განვითარებისა და განლაგების ერთიანი გეგმა. რესპუბლიკური სამშენებლო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული ასაწყობი რკინაბეტონის საერთო მოცულობიდან 63 პროცენტი მოდის „ამიერკავკასიის მეტალურგმშენისა და მთავართბილისმშენის“ საწარმოებზე. დანარჩენ 37 პროცენტს უშვებდნენ სხვადასხვა პატარა პოლიგონზე. ასაწყობი რკინაბეტონის ყველაზე მძლავრ საწარმოთა თავმოყრა თბილისისა და რუსთავის რაიონებში კანონზომიერია, მაგრამ საქართველოს დასავლეთ რაიონებში ამჟამად შენდება და ფართოვდება ასაწყობი რკინაბეტონის ბევრი პატარა ქარხანა და პოლიგონი 5-15 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრისა წელიწადში.

მე მგონია დროა უკვე უფრო გაბედულად დავიწყოთ სამშენებლო ინდუსტრიის დიდი საწარმოების — რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნებისა და სხვ. მშენებლობა. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სახმშენმა კარგად უნდა მოიფიქრონ ეს საკითხი და შეადგინონ ასეთ საწარმოთა სპეციალიზაციის გეგმა მათი კოოპერირების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მინდა თათბირის მონაწილეთა ყურადღება მივაპყრო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით მშენებლობათა დროზე უზრუნველყოფის საკითხებს.

განა შეიძლება შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა ახლა, მეორე კვარტალის დასაწყისისათვის ბევრი ობიექტი არათუ არ არის უზრუნველყოფილი პროექტებით და ხარჯთაღრიცხვებით, არამედ გამოყოფილი ნაკვეთებიც არა აქვთ?

ავიღოთ მაგალითისათვის თუნდაც რუსთავის სახლსამშენებლო ქარხანა. ჯერ კიდევ შარშან იყო მიღებული ამ ქარხნის ტიპური პროექტი, მაგრამ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენმა“ დღემდე ვერ მოიცალა მიეღო ნაკვეთი ქარხნის მშენებლობისათვის და არ დაუწყია პროექტის შედგენა. დაკარგულია ძვირფასი დრო, რის შედეგადაც ამ ობიექტის ამუშავების ვადას, რომელიც დადგენილია საკავშირო მთავრობის დადგენილებით, ჩაშლის საფრთხე მოელის. სამწუხაროდ, ეს ერთეული მაგალითი როდია.

ჩვენ სერიოზულად უნდა გავაფრთხილოთ სამეურნეო ხელმძღვანელები, რომ მომდინარე წელს და მომავალ წლებში სასტიკად დავიცავთ დადგენილ წესს და იმ ობიექტებს, რომლებიც არ იქნება დროზე უზრუნველყოფილი საპროექტო დოკუმენტაციით სატიტულო სიებში არ შევიტანთ, ხოლო დამნაშავეები მათს დაყოვნებაში სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კაპიტალური მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესება და საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების დაჩქარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ პარტიული ორგანიზაციები უზრუნველყონ ეფექტიანი კონტროლი კაპიტალური დაბანდებების და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილებისადმი, მაღალხარისხოვანი დოკუმენტაციით მშენებლობათა დროზე უზრუნველყოფისადმი, დროზე აღჭურვისადმი, საწარმოო ბაზის განვითარებისადმი, სამშენებლო ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესებისა და სამუშაოთა წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისადმი.

ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის უდიდესი მასშტაბი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მშრომელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ კონტროლის განხორციელებაში.

როგორც იცით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საწარმოების, მშენებლობებისა და საპროექტო ინსტიტუტების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია შეიქმნას პარტიული ორგანიზაციების მიერ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების კომისიები.

ამ კომისიების შექმნამ აამაღლა პარტიული ორგანიზაციების როლი ძალს ბრძოლაში სახელმწიფო გეგმების განხორციელებისათვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის, ხელი შეუწყო საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი კაპიტალური მშენებლობისადმი გააუმჯობესებს სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების მუშაობას, ხელს შეუწყობს მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების დაჩქარებას.

მრეწველობის ობიექტების ამუშავების დაჩქარებაში დიდი როლი ეკუთვნით მშენებლობის პროცესში მყოფი და რეკონსტრუირებული საწარმოების პარტიულ ორგანიზაციებს. მათ არ უნდა დაუშვან სახსრების დაქსაქსვა, სატიტულო სიებში მეორეხარისხოვანი ობიექტების შეტანა, რომელთა მშენებლობა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს. საჭიროა ზუსტად დავიცვათ ობიექტების ჩაბარების ვადების დადგენილი გეგმების შესრულება, დავრაზმოთ მშენებლები ბინების, სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებისა და ნაგებობების ჩაბარების დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა ჩაბაბან პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი კაპიტალური მშენებლობისადმი კონტროლის განხორციელებაში.

საწარმოო თათბირები, საზოგადოებრივი დათვალიერებანი, კომკავშ

ქალაქ სან-ფრანცისკოს რატუშის შენობის ამ საფეხურებზე თეთრმუზარადიანი პოლიციელები ხელკეტითა და მუშტით სცემენ იმათ, ვინც იქ მივიდა, რომ პროტესტი განეცხადებინა წარმომადგენელთა პალატის უბადალეტული ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელი კომისიის თარეშის წინააღმდეგ.

ამჯერად კომისია შეუდგა „კომუნიზმის გამოძიებას“ ჩრდილოეთ კალიფორნიაში, ამასთან თავის მსხვერპლად აირჩია უმაღლესი სკოლების მასწავლებლები.

პროტესტის ნიშნად ორასამდე სტუდენტმა ამ დღეებში „ჯდომელა“ დემონსტრაცია მოაწყო სან-ფრანცისკოს რატუშის შენობაში, სადაც სხდომები ჰქონდა ამ კომისიას. ასობით პროფესორმა და მასწავლებელმა პროტესტი განაცხადა ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე. რატუშის შენობის წინ გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამი ათასზე მეტმა კაცმა. ხუთი ათასზე მეტი კაცი პიკეტებში იდგა ქალაქის რატუშის შენობის წინ კომისიის მუშაობის უკანასკნელ დღეს. ქალაქის რატუშის აივანზე კომისიის თავმჯდომარის უილსის გამოჩენისას დემონსტრანტები დაცინვით გაიძახოდნენ ნაცისტურ მისალმებას — „ზიგ ჰაილ!“.

კომისიის საქმიანობა კალიფორნიაში სამარცხვინოდ დამთავრდა. როგორც მოხდენილად შენიშნავს გაზეთი „ნეიშნეკ გარდიანი“, „კომისია სან-ფრანცისკოში ჩამოვიდა, როგორც დაუპატიჟებელი სტუმარი, ხოლო წავიდა, როგორც საზიზღარი მაროდიორი. თავისი არსებობის 27 წლის მანძილზე კომისია არასოდეს არ შეხვედრია ასეთ ფართო ოპოზიციას“.

ეს ფოტოსურათი ამოღებულია დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „შტერნიდან“. აქ გამოხატულია, როგორ განდევნეს სტამბოლში დემონსტრაცია სტუდენტი ახალგაზრდობისა, რომელიც ქუჩებში გამოვიდა დემოკრატიულ თავისუფლებათა მოთხოვნით.

ფოტოსურათი „შტერნში“ რამდენიმე ხნის წინათ დაიბეჭდა. მაგრამ თურქეთში მღელვარება ჯერაც არ დამცხრალა. გუშინ თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა ლეგა მიიღო არ განახლდეს მეცადინეობა უნივერსიტეტებში: საეგზამენაციო სესია გადადებულია შემოდგომამდე. თურქეთში დაძაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეშფოთებას იჩენენ მისი მოკავშირენი აგრესიულ ბლოკებში. ინგლისის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ ირწმუნება, რომ თურქეთის დემოკრატიისაგან მერყევი ფასადიდან დარჩა, და იქვე წინასწარმეტყველებს „კიდევ უფრო ძლიერი აფეთქების საშიშროებას“.

## მეპოგრე აფრენისას

ერ ეს შემდეგ, რაც ნ. ს. ხრუშჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის ტრიბუნიდან აჩვენა სვერდლოვსკის რაიონში ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავის ფოტოსურათები, ამ სურათებმა მთელი მსოფლიო პრესა შემოიარა. ამ მამხილებელ ფოტოდოკუმენტებთან ერთად სხვადასხვა ბურჟუაზიულმა გაზეთებმა და ჟურნალებმა გამოაქვეყნეს თვით უ. პაუერსისა და მისი ოჯახისადმი მიძღვნილი მრავალი სხვაფასადა სურათი, რომელსაც უკეთებდნენ მოთაფლულ წარწერებს, რომ სახელი გაეთქვათ ამერიკელი ჯაშუშისათვის.

სწორედ ამგვარად გამოაქვეყნეს თავიანთი რვაგვერდიანი რეპორტაჟი დაჭერილი ჯაშუშის შესახებ ფრანგული ილუსტრირებული ჟურნალის „პარიმატჩის“ რედაქტორებმა. მაგრამ თავისდა უნებურად ისინი გამოვიდნენ როგორც ბრალდების მოწმენი. გარდა პაუერსის ოჯახისადმი მიძღვნილი ათეული ფოტოსურათისა, ჟურნალი აქვეყნებს სურათებს, რომლებიც ერთხელ კიდევ მოწმობენ ჯაშუშ თვითმფრინავის წინასწარგანზრახულ პროვოკაციულ და აგრესიულ ხასიათს.

ზედა სურათზე აღბეჭდილია ის მომენტი, როცა ჯაშუშურ-სადაზვერვო აპარატურა მოაქვთ პაუერსის თვითმფრინავთან, სანამ იგი საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ გაფრინდებოდეს. ქვედა სურათი — თვითმფრინავი „ლოკჰიდ უ-2“ აფრენისას.





# შეწყდეს აგრესიული მოქმედება!

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 25 მაისი. (საკადესო). გუშინ ნაშუადღევს უშიშროების საბჭოში გრძელდებოდა განხილვა საბჭოთა მთავრობის მიერ შეტანილი საკითხისა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის აგრესიული მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

დისკუსიის მოლოდინში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულუარებსა და ჟურნალისტთა წრეებში აჯანმეტდნენ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხის უშიშროების საბჭოში განხილვის პირველი დღის შედეგებს. ამ შედეგების შეფასების დროს აღინიშნება მკვეთრი კონტრასტი საბჭოთა მთავრობის მშვიდ, ღრმად დასაბუთებულ, ღირსებითა და დიდი მშვიდობისმოყვარეობით აღსავსე პოზიციასა, რომელიც საბჭოში ჩამოაყალიბა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, და ამერიკის წარმომადგენლის უსაფუძვლო პოზიციას შორის, რომელიც ამოიწურება წვრილი ხრიკებით და აშკარა ფაქტების მოურიდებელი უარყოფით.

სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამერიკის თვითმფრინავების თავხედური შეჭრა საბჭოთა საჰაერო სივრცის ფარგლებში წარმოადგენს შეერთებული შტატების წინასწარგანზრახულ, გაანგარიშებულ პოლიტიკას. სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუძღვით ბრალი მთავრობათა მეთაურების პარიზის თათბირის ჩაშლაში. ა. ა. გრომიკოს სიტყვამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი საგარეო პოლიტიკის ხასიათი ქმნის უნდობლობას საერთაშორისო ურთიერთობაში.

იმ მომენტში, როცა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან ამხილებდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ვერაგობას, კონგრესში, ამერიკის პრესის ფურცლებზე, ამერიკის რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში გაისმოდა აღშფოთებული პროტესტი დულესის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნები, რომ ფართოდ გამოიძიონ ეს პოლიტიკა, რათა საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე გამოიყვანონ მისი ფარული სულისჩამდგმელები, რომლებმაც შეარცხვინეს ამერიკის შეერთებული შტატები მთელი მსოფლიოს წინაშე და ჩამალეს ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელსაც ყველა ხალხი მოელოდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის ჭეშმარიტ მშვიდობისმოყვარეობას, რომელიც ისწრაფვის მიაღწიოს სხვა სახელმწიფოთა ფარგლებში აგრესიული შეჭრის ამერიკული პრაქტიკის აღმოფხვრას, რაც საშიშია მშვიდობის საქმისათვის, აღადგინოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპი, რომელსაც ასე უხეშად თელავენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები. საბჭოთა კავშირის კეთილშობილურ პოზიციამ, რომელმაც გადაჭრით მოითხოვა საერთაშორისო კანონის დაცვა ამერიკის ყაჩაღობის წინააღმდეგ, პატარა ქვეყნების მაღლიერი გამომხმაურება გამოიწვია, რომელებსაც საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით არა აქვთ საკმაო საშუალებანი, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველთა ცდებს „დაკანონონ“ ქვეყნების ურთიერთობის ყველა ნორმისა და წესის დარღვევის სისტემა.

ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული პოლიტიკის გადაჭრით მხილება, საბჭოთა კავშირის მტკიცე გამოსვლა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარების ნორმების დასაცავად ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს საერთო მოწონებასა და მადლობას იმსახურებს.

საბჭოთა წარმომადგენლის გამოსვლამ უშიშროების საბჭოში კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მაღალი მორალური დონე, რომელიც მტკიცედ და თანამიმდევრულად იბრძვის იმით წინააღმდეგ, ვინც საერთაშორისო ყაჩაღობასა და აგრესიას თავისი პოლიტიკის დრშად ხდის.

უბადრუკი და არადამაჯერებელი იყო ამ ფონზე ხრიკები, რომლებსაც მიმართა ამერიკის წარმომადგენელმა ლოჯმა. ლოჯს ისე ეჭირა თავი, თითქოს „დაიკიწყდა, რომ ამერიკის თვითმფრინავების პროვოკაციული ჯაშუშური ფრენის წინასწარგანზრახული ხასიათი არსებითად აღიარეს ამერიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა, და დაადგა სამართლიან ბრალდებათა უსაფუძვლო უარყოფის გზას. ამასთან იგი დაჟინებით ამბობდა, რომ „უ-2“ თვითმფრინავი არ ყოფილა შეიარაღებული, თუმცა ახლა რთულმა მსოფლიომ იცის, რომ ამ თვითმფრინავის მოწყობილობა შეიცავდა ისეთ საშუალებებს, როგორიც არის საჰაერო თავდაცვის საბჭოთა რადარული სისტემის ელექტრონული დაზვერვის აპარატურა და აპარატურა მაღლური აეროფოტოგადაღებისათვის.

საგულისხმოა, რომ მხოლოდ ერთი კვირით ადრე, სანამ ამერიკის დიპლომატი გამოვიდოდა თავისი უხეში „გაბართლებით“, ამერიკული ჟურნალი „ტაიმი“ იუწყებოდა, მაგალითად, რომ გადასაღებ მოწყობილობას ინფრაწითელი სხივების დახმარებით შეუძლია „მოიცვას ფართო რაიონები“ საბჭოთა ტერიტორიაზე, აღბეჭდოს „ფაბრიკის მაღალი მილები“, ესე იგი სამრეწველო ობიექტები სსრ კავშირში. რუკაზე, რომელიც ამ ჟურნალმა მოიყვანა, სვერდლოვსკის რაიონი, რომელიც „უ-2“ ჯაშუშური თვითმფრინავის მიზანი იყო, აღნიშნულია წარწერით: „ურალის სამრეწველო კომპლექსი“. ამ აღიარებათა ფონზე რად ღირს ლოჯის ყალბი მტკიცება, რომ ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავები ვითომდა მიზნად ისახავენ თავიდან აიცილონ რაღაც „საფრთხე“ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის მიერ საერთაშორისო ურთიერთობის პრინციპების მაღალი მორალური დაცვა და შეერთებული შტატების მხრივ ყალბი ხრიკები — ასეთია უშიშროების საბჭოში დისკუსიის პირველი დღის საყოველთაოდ აღიარებული შედეგი.

უშიშროების საბჭოში დისკუსიის მეორე დღემ ცხადყო, რომ ის სახელმწიფოებიც კი, რომლებსაც მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობა აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და იძულებული არიან „სამოკავშირეო ერთიანობისათვის“ მხარი დაუჭირონ ამერიკის პოლიტიკის საერთო მიმართულებას, ისინიც კი იძულებული არიან აღიარონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების დიდი არაკანონზომიერება და უკანონობა. მაგალითად, საფრანგეთის წარმომადგენელ ბერარს, რომელიც გუშინ საბჭოში პირველი გამოვიდა, არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ „სინამდვილეში 1 მაისს ინციდენტი და გადაფრენები, რომლებსაც გმობს სსრ კავშირის მთავრობა, შეადგენენ საჰაზვერვო საქმიანობის კატეგორიას“.

ბერარი აძტკიცებდა, რომ ამერიკის ავიაციის აგრესიული მოქმედება თითქოს არ წარმოადგენს „რაიმე საერთაშორისო დარღვევას“. მან განაცხადა, რომ „საფრანგეთის დელეგაცია ვერ აღიარებს, რომ მოყვანილი აქტები აგრესიის აქტებს წარმოადგენენ“. საფრანგეთის წარმომადგენელმა დასასრულ განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ვერ დაუჭერს მხარს საბჭოთა კავშირის მიერ შემოტანილ რეზოლუციის პროექტს.

ამერიკის ავიაციის აგრესიული მოქმედების ხელშეწყობის სულისკვეთებით გამოვიდა აგრეთვე ინგლისის წარმომადგენელი ჰ. დიქსონი. იგი ყოველნაირად ამართლებდა ამერიკის ავიაციის პროვოკაციულ პრაქტიკას და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას ამ საკითხში. ინგლისის დელეგატი ცდილობდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების საჰაზვერვო ფრენა გაემართლებინა მტკიცებით, რომ „იგი გამოწვეულია ნდობის უქონლობით“ ორ დიდ სახელმწიფოს შორის.

არგენტინის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერავითარი ძოსაზრება ვერ გაამართლებს ყველა ქვეყნის ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევას. მაგრამ მან იქვე განაცხადა, რომ მშვიდობისადმი საფრთხეს წარმოადგენს ვითომდა არა ამერიკის თვითმფრინავების ფრენა სსრ კავშირის ტერიტორიაზე, არამედ... საბჭოთა კავშირის მიერ უშიშროების საბჭოში ამ ფრენის საკითხის დაყენება. არგენტინის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხმას მისცემს სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

იტალიის წარმომადგენელმა, ნატოს ქვეყნების სხვა წარმომადგენელთა მსგავსად, იკისრა უმადური ამოცანა გაემართლებინა აგრესიული ფრენა და ამერიკის მთავრობის პოლიტიკა. ბუნდოვან სიტყვაში იგი გულმოდგინედ უკეთებდა რეკლამას „ღია ცის“ ამერიკულ ჯაშუშურ კონცეფციას, რითაც ხელს უწყობდა ამერიკის შეერთებული შტატების ცდებს თავს მოახვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას პენტაგონისათვის ჯაშუშური ცნობების შეგროვების აგენტის როლი.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის დელეგატის მიხალოვსკის გამოსვლამ. როგორც უკანასკნელმა ამბებმა დაგვანახვეს, განაცხადა მან, საბჭოთა მთავრობის მიერ უშიშროების საბჭოს განსახილველად დასმულ საკითხს უღიდესი მნიშვნელობა აქვს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა გაყალბებული მტკიცების საწინააღმდეგოდ პოლონეთის დელეგატმა ცხადყო, რომ ამერიკის სამხედრო ავიაციის ფრენა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე წარმოადგენს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპის, სხვადასხვა ხელშეკრულებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევას. ამასთან მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ასეთ ხელშეკრულებათა უმრავლესობის მონაწილენი არიან.

მიხალოვსკიმ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მიერ გამოცხადებული სამპერო ჯაშუშობის პოლიტიკა, ეს ახალი დოქტრინა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ჰერტერის დოქტრინა, თქვა მან, ნიშნავს ცდას „საერთაშორისო სამართალი შეცვალონ ჯუნგლის კანონით“.

სუვერენიტეტის პრინციპის დარღვევა, განაგრძო პოლონეთის დელეგატმა, არ შეიძლება გამართლებულ იქნას ერთი მთავრობა, ან თუნდაც სახელმწიფოთა ჯგუფის ინტერესებით. „ასეთ უფლებათა უზურპაცია მიგვიყვანდა ქაოსამდე და უკანონობამდე. მას მივყავართ აგრესიის საშიში სფეროსაკენ და ეხება ამკარა მტრობის საზღვრებს“.

მიხალოვსკიმ აბსურდული უწოდა ამერიკის ხელისუფალთა ცდებს გაამართლონ ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავთა სადაზვერვო ფრენა სინამდვილეში, თქვა მან, ეს ფრენა საფრთხეს ქმნის. ამიტომ პოლონეთის დელეგაციას არ შეუძლია დაუჯეროს განცხადებას, რომ ამგვარ ფრენას აგრესიული ხასიათი არა აქვს. საერთაშორისო მშვიდობისათვის კიდევ უფრო მეტ საშიშროებასა და საფრთხეს წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები, რომლებიც მდებარეობენ სხვის ტერიტორიაზე, საიდანაც ხორციელდება ჯაშუშური ფრენა. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ცხადია, რომ ასეთი ბაზების ლიკვიდაცია განიარაღებისა და საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარების აუცილებელი პირობაა.

დასასრულ პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა აღადგინოს კანონის მოქმედება, პატივისცემა ნაკისრი ვალდებულებებისადმი და ჯეროვანი მოქცევა საერთაშორისო ურთიერთობაში. რამდენადაც ეს არის საბჭოთა რეზოლუციის პროექტის მიზანიც, პოლონეთის დელეგაცია ხმას მისცემს ამ პროექტს.

დღეს უშიშროების საბჭო განაახლებს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის აგრესიული მოქმედების საკითხის განხილვას.

## სპორტი

# ლ. ვოლპერტი დაუმარცხებლად იბრძვის

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გრძელდებოდა ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. დილით მიეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს გაიმართა მერვე ტური.

გადადებული პარტიების დამთავრებისას მ. ტოგონიძემ დაამარცხა ა. ჩაიკოვსკაია, ლ. ვოლპერტმა — ე. ბილეკნე (უნგრეთი). ე. კაკაბაძე და გ. კონარკოვსკა (პოლონეთი) ყაიმზე შეთანხმდნენ.

მერვე ტურში საერთაშორისო ოსტატმა ლ. ვოლპერტმა ძლიერად ჩაატარა პარტია ტ. შტადლერის (იუგოსლავია) წინააღმდეგ და სატურნირო ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა.

წარმატებით იბრძოდა ოსტატი ნ. ბაშრინდაშვილი ა. ჩაიკოვსკაიასთან პარტიაში. მან პოზიციურ უპირატესობასთან ერთად მოიპოვა მატერიალური უპირატესობა. ა. ჩაიკოვსკაიამ თავი დამარცხებულად ცნო.

რ. სუხამ (ჩეხოსლოვაკია) შუა თამაშში წაადო ფიგურა ე. ბილეკნესთან პარტიაში და დამარცხდა. ე. კელერგერმანისა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და გ. კონარკოვსკას პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადიდ.

8 ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ლ. ვოლპერტი, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. ნ. გაფრინდაშვილს 6 ქულა აქვს, გ. კონარკოვსკას — 5 ქულა.

* * *

სურათებზე: კ. ზვორიკინა და გ. კონარკოვსკა (პოლონეთი).

## გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ თბილისის ქალთა პირველი საერთაშორისო სამპალრაკო ტურნირის მონაწილეთათვის **დაწესა სპეციალური პრიზი ყველაზე ლამაზი პარტიისათვის.**

პრიზის მისანიჭებლად შემქმნილია ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიან: მსოფლიოს ექსჩემპიონი ო. რუბცოვა, საერთაშორისო ოსტატი ვ. ბოგლიძე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. ფალავანდიშვილი.

## ინგლისელი ფეხბურთელები თბილისში

**გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა კლუბის „შეფილდ უენსდეის“ გუნდი, რომელიც 28 მაისს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამართავს საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს თბილისის „დინამოსთან“.**

**თბილისის აეროდრომზე ინგლისელ ფეხბურთელებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. გუშინ ჩვენმა სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.**

**ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში „შეფილდ უენსდეის“ მწვრთნელმა ბეტერიმმა განაცხადა:**

**მოსკოველთა და თბილისელთა სტუმართმოყვარეობით დიდად კმაყოფილი ვართ.**

**მატჩი მოსკოვში არახელსაყრელ ამინდში მიმდინარეობდა, ძლიერი წვიმის შედეგად მოედანი ატალახებული იყო. ამიტომ როგორც ჩვენ, ისე ჩვენმა მეტოქემ ვერ შეავლეთ მთელი ჩვენი შესაძლებლობის გამომჟღავნება, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელები გვჯობნიდნენ ტემპში, იერიშებში, კომბინაციებში.**

**თქვენ ალბათ გაინტერესებთ, რა შეიძლია გითხრათ თბილისის „დინამოს“ გუნდთან მატჩზე. ჩვენ ბევრი გვსმენია თქვენს საყვარელ გუნდზე. თქვენს ლამაზ ქალაქზე, მაგრამ ეს უკანასკნელი დღეს პირველად ვიხილეთ, ხოლო დინამოელ ფეხბურთელებს 28 მაისს გავიცნობთ მოედანზე. გვწადია მაყურებლები კმაყოფილი დარჩენენ ჩვენი თამაშით, ნახონ ინგლისური ფეხბურთი, თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძალიან დაღლილი ვართ.**

**სამშობლოში ცუდი ბალანსით დაბრუნება სასიამოვნო როდია. სტარტი კი ჩვენს სასარგებლოდ არაფერს ლაპარაკობს.**

## სსრ კავშირის პირველობაზე

**მოსკოვი, 25 მაისი.** აქ გაიმართა „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი მატჩი. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და ტალინის „კალევის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

**ლენინგრადი, 25 მაისი.** ერევნის სპარტაკელები დღეს შეხვდნენ ადგილობრივ „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

## საერთაშორისო შეხვედრა

24 მაისს აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი სოფიის „სპარტაკისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის. ასპარეზობა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

# გამოცდას აბარებენ კანდიდატები

**თბილისში** დასასრულს უახლოვდება ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო ტურნირი. გუშინ გაიმართა მეცხრე ტური, რომელიც ოსტატთა უპირატესობით აღინიშნა. ვ. კრილოვმა მოუგო შ. გიტერმანს, გ. ბასტრიკოვმა — ა. არუთინოვს და ლ. ირონსონმა — ლ. ლისტენგარტენს. ყაიმით დამთავრდა ა. ბუსლაევ - დ. ჯანოევისა და გ. ილიოვიცკი - ვ. ზახარიანის შეხვედრები, ორი პარტია გადადიდ.

ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა ტურნირი იმისათვის ეწყობა, რომ კანდიდატებმა ჩაიბარონ გამოცდა „სიმწიფეზე“ — ოსტატობაზე. ამიტომ კანდიდატების წინაშე სერიოზული ამოცანა დგას — მოაგროვონ 14 შესაძლებლიდან 7,5 ქულა.

როგორ „აბარებენ“ გამოცდას კანდიდატები?

ვის აქვს სპორტის ოსტატის წოდების მოპოვების მეტი შანსი?

თბილისში საკმაოდ ძლიერი ბირთვი შეიკრიბა საერთაშორისო ოსტატ გ. ილიოვიცკის, ოსტატების ე. სტოლიარის, გ. ბასტრიკოვის, ა. ბუსლაევის, ლ. ირონსონისა და სხვათა სახით. ამიტომ ყველა კანდიდატმა როდი გაუძლო დაძაბულ ბრძოლას. საიმედოდ მიიწევენ წინ თბილისელები ა. ბლაგიძე (4 ქულა და ერთი გადადებული პარტია და დ. ჯანოევი (4,5 ქულა), კიშინიოველი შ. გიტერმანი (4,5 ქულა) და ერევნელი ვ. ზახარიანი (5 ქულა).

როგორც ჩანს, ამ ოთხ კანდიდატს შეუძლია გახდეს სპორტის ოსტატი. დარჩენილ ხუთ ტურში მათ 3-3,5 ქულის მოგროვება არ უნდა გაუჭირდეთ, თუ სათანადოდ მოიკრებენ ძალ-ღონეს და მეტი შეუპოვრობით ითამაშებენ. ვ. ზახარიანს კი 2,5 ქულაც ეყოფა.

ჯერ ადრეა ტურნირის შემოქმედებით შედეგებზე ლაპარაკი. მაგრამ ზოგიერთი პარტიის გაცნობა ცხადყოფს, რომ ოსტატები „არ ინდობენ“ კანდიდატებს, ხოლო კანდიდატები ცდილობენ მაქსიმალურად გამოამჟღავნონ, გაამართლონ თავიანთი პრეტენზიები.

**თ. გიორგაძე.**

რედაქტორი
**დ. მჟედლიშვილი.**





**ხუთშაბათი 26 მაისი**

**თეატრები:** ოპერისა და ბალეტის — ტოსკა, **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი, **გრიბოედოვის სახელობის** — ქალი წყალი, **სანკულტურის** — ჯადნიანი გული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გლახის ნაამბობი (აბონ. № 10, 7. ს.).

**ტელევიზია:** 17.50 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან (ერთმანეთს ხვდებიან ტაშკენტის „პახტაკორი“ და თბილისის „დინამო“), 19.45 — „ყველაზე პატარებისათვის“ — ფილმი-ზღაპარი, 19.55 — 145 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთლისათვის, 20.05 — კინოჟურნალი, 20.15 — გადაცემა ციკლიდან „გამოჩენილი კინორეჟისორები“ — ძ. კალატოზოვი, 20.55 — უკანასკნელი ცნობები, 21.05 — ახალი მხატვრული ფილმი „სადაც არ უნდა იყო“.

ᲣᲐ 02554

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.



# შეწყდეს აგრესიული მოქმედება!

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 25 მაისი. (საკადესო). გუშინ ნაშუადღევს უშიშროების საბჭოში გრძელდებოდა განხილვა საბჭოთა მთავრობის მიერ შეტანილი საკითხისა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის აგრესიული მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

დისკუსიის მოლოდინში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულუარებსა და ჟურნალისტთა წრეებში აჯანმეტდნენ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხის უშიშროების საბჭოში განხილვის პირველი დღის შედეგებს. ამ შედეგების შეფასების დროს აღინიშნება მკვეთრი კონტრასტი საბჭოთა მთავრობის მშვიდ, ღრმად დასაბუთებულ, ღირსებითა და დიდი მშვიდობისმოყვარეობით აღსავსე პოზიციასა, რომელიც საბჭოში ჩამოაყალიბა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, და ამერიკის წარმომადგენლის უსაფუძვლო პოზიციას შორის, რომელიც ამოიწურება წვრილი ხრიკებით და აშკარა ფაქტების მოურიდებელი უარყოფით.

სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამერიკის თვითმფრინავების თავხედური შეჭრა საბჭოთა საჰაერო სივრცის ფარგლებში წარმოადგენს შეერთებული შტატების წინასწარგანზრახულ, გაანგარიშებულ პოლიტიკას. სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუძღვით ბრალი მთავრობათა მეთაურების პარიზის თათბირის ჩაშლაში. ა. ა. გრომიკოს სიტყვამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი საგარეო პოლიტიკის ხასიათი ქმნის უნდობლობას საერთაშორისო ურთიერთობაში.

იმ მომენტში, როცა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან ამხილებდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ვერაგობას, კონგრესში, ამერიკის პრესის ფურცლებზე, ამერიკის რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში გაისმოდა აღშფოთებული პროტესტი დულესის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნები, რომ ფართოდ გამოიძიონ ეს პოლიტიკა, რათა საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე გამოიყვანონ მისი ფარული სულისჩამდგმელები, რომლებმაც შეარცხვინეს ამერიკის შეერთებული შტატები მთელი მსოფლიოს წინაშე და ჩამალეს ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელსაც ყველა ხალხი მოელოდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის ჭეშმარიტ მშვიდობისმოყვარეობას, რომელიც ისწრაფვის მიაღწიოს სხვა სახელმწიფოთა ფარგლებში აგრესიული შეჭრის ამერიკული პრაქტიკის აღმოფხვრას, რაც საშიშია მშვიდობის საქმისათვის, აღადგინოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპი, რომელსაც ასე უხეშად თელავენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები. საბჭოთა კავშირის კეთილშობილურ პოზიციამ, რომელმაც გადაჭრით მოითხოვა საერთაშორისო კანონის დაცვა ამერიკის ყაჩაღობის წინააღმდეგ, პატარა ქვეყნების მადლიერი გამომხმაურება გამოიწვია, რომელებსაც საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით არა აქვთ საკმაო საშუალებანი, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველთა ცდებს „დაკანონონ“ ქვეყნების ურთიერთობის ყველა ნორმისა და წესის დარღვევის სისტემა.

ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული პოლიტიკის გადაჭრით მხილება, საბჭოთა კავშირის მტკიცე გამოსვლა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარების ნორმების დასაცავად ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს საერთო მოწონებასა და მადლობას იმსახურებს.

საბჭოთა წარმომადგენლის გამოსვლამ უშიშროების საბჭოში კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მაღალი მორალური დონე, რომ